Job Fest

გაიცანი, გაეცანი, იპოვე

სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ფესტივალი

ერთი წვეთი პრაქტიკა, ზღვა თეორიაზე მეტად ღირებულია

JOB fest 2017-ის დეტალები

პროექტის დასახელება: JOB fest 2017

ადგილი: ვაკის პარკი

თარიღი: ივნისი (თარიღზე ერთობლივად შევთანხმდეთ); ფესტივალი გაგრძელდება მთელი დღის განმავლობაში.

პროექტის JOB fest 2017 მიზანია სტუდენტებისა და დამსაქმებლების დაკავშირება. გავუმარტივოთ და დავეხმაროთ სტუდენტებს იპოვონ მათთვის სასურველი სამსახური, კომპანიებმა კი შეძლონ ახალგაზრდა კაპიტალის მოძიება, რომელიც სამომავლოდ მათი კომპანიის წარმატებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ამოცანა:

1. სტუდენტებისთვის სტაჟირების და დასაქმების ხელშეწყობას საზაფხულოდ
2. დამსაქმებლის ბრენდის ცნობადობის გაზრდა ახალგაზრდების სეგმენტში
3. პროფესიული განათლება-დასაქმების პოპულარიზაცია
4. სტუდენტებთან საუბარი მათი განვითარებისთვის საჭირო და საინტერესო თემებზე როგორიცაა, წარმატება, მოტივაცია, თვითგანვითარება და მიზნის დასახვა.

JOB fest 2017 პროექტის აღწერა:

JOB fest 2017 არის სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ფესტივალი-პროგრამა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 100-მდე დამსაქმებელი და სტუდენტები მთელი საქართველოს მასშტაბით. პროგრამა "Job Fest 2017" მიზნად ისახავს დამსაქმებლის ბრენდის ზრდას ახალგაზრდების სეგმენტში და სტუდენტებისთვის სტაჟირების და დასაქმების ხელშეწყობას საზაფხულოდ, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთმა კომპანიამ გრძელვადიანადაც გადაწყვიტოს შერჩეულ სტუდენტებთან თანამშრომლობა.

ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანია. JOB fest 2017-ის ფარგლებში, ჩატარდება კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრები, სპიკერების გამოსვლები, სადაც სტუდენტებს სხვადასხვა სფეროს წარმატებული პრაქტიკოსები წარმატებაზე, მოტივაციასა და კარიერის დაგეგმვაზე ესაუბრებიან.

მოეწყობა **EMPLOYMENT EXPO** (კომპანიების, როგორც დამსაქმებლების და საკვანძო პროფესიების ექსპოზიცია-როგორ დავიწყოთ ნულიდან და მივაღწიოთ წარმატებას. შეხვედრა სხვადასხვა პროფესიების წარმატებულ პრაქტიკოსებთან).

პარკის ერთ ნაწილში მოწყობილ სივრცეში - **„წარმატების კუთხე"** 2-3 საათის განმავლობაში შესაძლებელი იქნება, სპეციალური ლექციების/სემინარების მოსმენა კარიერულ ზრდაზე, მოტივაციასა და წარმატებაზე დ ა შ. "წარმატების კუთხეში" გაიმართება შეხვედრები კითხვა-პასუხის ფორმატში სპიკერებთან და კომპანიების წარმომადგენლებთან.

დასასრულს კი გაიმართება ფესტივალის დახურვის ცერემონია-კონცერტი.

სად: სტუდენტების საზაფხულო დასაქმების პროგრამა - "Job Fest" ვაკის პარკის ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ გაიმართება. მასში მონაწილეობა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული კოლეჯების სტუდენტებსა და ახლად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ.

რეგისტრაცია კომპანიებისთვის და სტუდენტებისთვის

ფესტივალზე დასასწრებად კომპანიები და სტუდენტები წინასწარ გავივლიან რეგისტრაციას.

Studentjob.ge-ზე გაკეთდება სპეციალური გვერდი, სადაც წინასწარ განთავსდება ფესტივალისთვის განკუთვნილი ვაკანსიები კომპანიების მიხედვით და სტუდენტებსა და ახლად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ვაკანსიების წინასწარ დათვალიერება, შერჩევა, განაცხადის ონლაინ რეჟიმში გაკეთება და გასაუბრებისთვის დარეგისტრირება და ფესტივალზე უკვე შერჩეულ პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრა;

ფესტივალის რეგისტრაციის შედეგად დამსაქმებელებს ფესტივალამდე წინასწარ გადაეცემათ კომპანიებისა და ვაკანსიების მიხედვით გაფილტრული რეზიუმეები.

JOB fest-ყოველწლიურად გიმართება.

JOB fest - განრიგი:

- ფესტივალის გახსნის ცერემონია, მისალმება
- სპიკერების გამოსვლები (10-15 წუთი)
- სტუდენტების შეხვედრა დამსაქმებლებთან
- **EMPLOYMENT EXPO** (კომპანიებისა და საკვანძო პროფესიების ექსპოზიცია-როგორ დავიწყოთ ნულიდან და მივაღწიოთ წარმატებას. შეხვედრა სხვადასხვა პროფესიების წარმატებულ პრაქტიკოსებთან)
- "წარმატების კუთხე"-შეხვედრები კითხვა-პასუხის ფორმატში სპიკერებთან და კომპანიებთან
- ფესტივალის დახურვის ცერემონია - კონცერტი

უფრო მეტ დეტალს ღონისძიების შესახებ, უახლოეს მომავალში გაცნობებთ.